

იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლებს სამოქმედო გეგმის უწყებათაშორისი კომიტეტის სხდომის ოქმი N1

22 აგვისტო, 2016 წელი, 15:05 სთ.

თბილისი, თამარაშვილის ქ.15ა.

უწყებათაშორისი კომიტეტის (შემდგომში - კომიტეტი) სხდომას ესწრებოდნენ:

1. გრიგოლ გიორგაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველი მოადგილე - თავმჯდომარის მოადგილე;
2. ქეთევან ნატრიაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
3. შალვა კერესელიძე - სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
4. ნათია გულია - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
5. ნათია მიქელაძე - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია;
6. თეა გვარამაძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

უწყებათაშორისი კომიტეტის სხდომას ესწრებოდნენ სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული:

1. ოთარ ანთია - სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“ მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
2. მურად აბლოთია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი;
3. ნუკი ჩხიკვაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის დამხარე სპეციალისტი.

სხდომის თავმჯდომარე : გრიგოლ გიორგაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა

მინისტრის პირველი მოადგილე; უწყებათაშორისი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე - თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

დღის წესრიგი: „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის“ პირველი და მეორე კვარტლის ანგარიშის წარდგენა; „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის“ განხორციელების პროცესში არსებული პრობლემების განხილვა; რეკომენდაციების წარდგენა „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის“ განხორციელებისთვის.

სამდივნო: ირაკლი უჯმაჯურიძე - სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ დირექტორი;

ანა კიკნაძე - სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ იურისტი;

მადონა ითაშვილი - სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ საქმისწარმოების სპეციალისტი.

უწყებათაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წევრებს აცნობა დღის წესრიგი.

სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ (შემდომში - სააგენტო) დირექტორმა ირაკლი უჯმაჯურიძემ კომიტეტს წარუდგინა „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის“ (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) პირველი და მეორე კვარტლის ანგარიში. კომიტეტს აცნობა კოორდინაციის, მენეჯმენტისა და მონიტორინგის მექანიზმის შესახებ. მისი განმარტებით, დევნილთა საარსებო წყაროებზე დროული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ჩამოყალიბდა კოორდინაციის მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულ უწყებებთან: სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო; სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა; ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. ისაუბრა უწყებათაშორისი კომიტეტისა და სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის, ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ. 2016 წლის განმავლობაში ჩატარდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის

სამეთვალყურეო საბჭოს ორი შეხვედრა (იანვარში და ივნისში). 2015 წლის ბოლოს UNHCR-ისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდგომში - დევნილთა სამინისტრო) ერთობლივი პროექტის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა საარსებო წყაროების მონაცემთა ბაზა. მის შესავსებად სააგენტო იყენებს ლტოლვილთა დანიის საბჭოს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად შექმნილ მონაცემთა ბაზას. აღნიშნულ ორ ბაზას შორის არის განსხვავებული ველები, რომელთა შევსებაც აუცილებელია, იმისათვის, რომ ინფორმაციის დამახსოვრება მოხდეს სააგენტოს მონაცემთა ბაზაში. 2016 წლის I კვარტალში ბაზაში მუშაობის დაწყების შემდეგ გამოვლინდა გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რომელიც I-ვე კვარტალში აღმოიფხვრა.

ინფორმაციის განახლების მიზნით, II კვარტალში შემუშავდა სააგენტოს მონაცემთა ბაზის ველების იდენტური ელექტრონული ფორმა, რომელიც 2016 წლის მაისის თვეში საარსებო წყაროების უზრუნველყოფის პროგრამებზე მომუშავე 70 ორგანიზაციიდან შესავსებად გაეგზავნა 23-ს. სრულყოფილად შევსებული ცხრილი მიიღეს 5 ორგანიზაციიდან. კომერციული ბანკებიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან და სახელმწიფო სტრუქტურებიდან ინფორმაციის მოპოვება ხორციელდება მათი ოფიციალური ვებგვერდების საშუალებით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა მემორანდუმის ტექსტზე, რომლის საფუძველზეც ლტოლვილთა დანიის საბჭო ოფიციალურად გადასცემს სააგენტოს მათ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შექმნილ მონაცემთა ბაზას. კვარტალური სექტორული ანგარიშების წარდგენა შესაძლებელი იქნება სამართლებრივი პროცესების დასრულებისა და ინფორმაციის ბაზაში სრულად ასახვის შემდგომ.

ირაკლი უჯმაჯურიძის განმარტებით, მონაცემთა ბაზის შევსების პარალელურად, სააგენტო თავის ოფიციალურ ვებგვერდზე ანთავსებს ინფორმაციას საარსებო წყაროების მიმართულებით მიმდინარე პროგრამების შესახებ. ვებგვერდი საშუალებას იძლევა ინფორმაცია დახარისხებულ იქნას რეგიონების მიხედვით, რაც დაინტერესებულ პირს უადვილებს პროგრამების მოძიებას მისთვის სასურველ რეგიონში. საბაზისო ინფორმაციის მოსაპოვებლად სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველომ გამოითხოვა სტატისტიკური მონაცემები დევნილთა შესახებ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან, მათ შორის საჯარო რეესტრიდან, სამოქალაქო რეესტრიდან, შემოსავლების სამსახურიდან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან, საქსტატიდან და სოციალური მომსახურების სააგენტოდან. ასევე, იმ მონაცემების მოსაპოვებლად, რომლებიც არ გააჩნიათ სახელმწიფო უწყებებს, შემუშავდა კვლევების ჩატარების გეგმა და მიმდინარეობს ამ გეგმით გათვალისწინებული კვლევების განხორციელება.

საარსებო წყაროებზე დევნილთა ინფორმირებულობის დონის შესამოწმებლად 2016 წლის I კვარტალში ჩატარდა სატელეფონო გამოკითხვა, რის შედეგადაც გაირკვა, რომ დევნილების 43%-ს სმენია მინიმუმ ერთი საარსებო წყაროს პროგრამის შესახებ მაინც (გარდა

გრძელვადიანი განსახლებისა და დევნილთა ყოველთვიური შემწეობის პროგრამისა). გამოკითხვით მიღებული შედეგების გათვალისწინება მოხდა მიმდინარე საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვისას, რომლის მიზანია გაზარდოს დევნილთა ცნობიერება საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ. 2016 წლის ბოლოს დაგეგმილია მსგავსი გამოკითხვის ჩატარება, რათა გაიზომოს საინფორმაციო კამანიის შედეგები. სამოქმედო გეგმაში მიზნად დასახულია, რომ დევნილთა 70%-მა უნდა იცოდეს ერთი ან მეტი საარსებო წყაროების პროგრამის შესახებ.

ევროკავშირის დაფინანსებითა და ტექნიკური დახმარების ჯგუფთან ერთად ჩატარდა ტენდერი განსახლების საჭიროებების გამოკითხვის შესახებ და მიმდინარეობს ფოკუს ჯგუფებისა და რაოდენობრივი კვლევის კითხვარების შემუშავება, რომლის ერთი ნაწილი ეხება დევნილთა საარსებო წყაროებსა და შემოსავლებს. კვლევის შედეგები გამოავლენს, განსახლება რა ზეგავლენას ახდენს დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ასევე, ევროკავშირის დაფინანსებითა და ტექნიკური დახმარების ჯგუფის მიერ მიმდინარეობს კოლექტიური ცენტრების „პროფაილინგი“, რომლის საშუალებითაც, მოხდება უფრო სრულყოფილი სურათის დანახვა კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები დევნილების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

სამინისტრომ ასევე ჩაატარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დევნილთა სატელეფონო გამოკითხვა, რომლის შუალედული შედეგების წინასწარი ანალიზი განხორციელდა 2016 წლის ივნისის თვეში. შედეგები მიეწოდა სააგენტოს, რათა მოხდეს მათი გათვალისწინება საარსებო წყაროების პროგრამების შემუშავების დროს. სამინისტრომ გამოკითხვის შედეგები გაუზიარა პარტნიორ არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებს. წლის ბოლოს დაგეგმილია საარსებო წყაროების პროგრამების ბენეფიციარების გამოკითხვა, რათა შემოწმდეს ბენეფიციარების კმაყოფილების დონე კონკრეტულ პროგრამებთან მიმართებით და მოხდეს არსებული პროგრამების ნაკლოვანებების გამოსწორება.

დევნილთა სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველომ 2016 წლის პირველ კვარტალში შეიმუშავა კვლევების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 2016 წლის განმავლობაში ჩასატარებელ კვლევებს. კვლევების გეგმის მიხედვით, ჩატარდა დამოუკიდებელი გამოკითხვა დევნილთა ინფორმირებულობის შეფასების მიზნით. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, თუ დევნილების რამდენ პროცენტს სმენია საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ, რა საშუალებებით იღებენ ინფორმაციას და ინფორმაციის მიღების რა არხებს ანიჭებენ უპირატესობას. აღნიშნული შედეგების საფუძველზე, სააგენტოში დაიგეგმა და მიმდინარეობს საინფორმაციო კამპანია. წლის ბოლოს დამოუკიდებელი გამოკითხვის მეშვეობით მოხდება არა მარტო მოწყვლად დევნილთა ინფორმირებულობის შეფასება პროგრამებზე, არამედ ასევე თითოეული პროგრამის ბენეფიციარების აზრის გამოკითხვა, რათა მოხდეს პროგრამების შედეგების გაანალიზება.

კვლევების გეგმაში ასევე გათვალისწინებულია არსებული კანონმდებლობის გადახედვა დევნილთათვის მიწაზე ხელმისაწვდომობასთან, საარსებო წყაროების პროგრამების დაწყებისთვის ფინანსურ რესურსებზე წვდომასთან და დამწყები ბიზნესების გადასახადებისაგან გათავისუფლების პოტენციალის შეფასებასთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა დაინტერესებულ მხარეებსა და შესაბამის უწყებებთან ერთად, რათა მოხდეს რეკომენდაციების შემუშავება. დევნილთათვის მიწაზე წვდომის შესახებ პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველოს მიერ მომზადებულ იქნა ანალიტიკური დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილ იქნა ამ საკითხებში არსებული გამოწვევები. კვლევების გეგმა ასევე ითვალისწინებს, დევნილთა განსახლების კმაყოფილების შესწავლას, რის შედეგების გათვალისწინებაც მოხდება განსახლების პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის გადახედვის დროს. ამჟამად პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველოს საქსტატიდან მიღებული აქვს მონაცემები მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ბაზიდან. 2015 წლის შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევის შედეგები ხელმისაწვდომი იქნება მომავალ თვეებში და მოხდება საქსტატიდან შინამეურნეობების გამოკვლევის შედეგების ბოლო 5 წლის გაერთიანებული ბაზის გამოთხოვა. გარდა ამისა, პერსონალური მონაცემების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად საქსტატის წარმომადგენლების განცხადებით, მათ არა აქვთ უფლება გასცენ პერსონალური მონაცემები დევნილების შესახებ და პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველოს მიეწოდება მხოლოდ სტატისტიკური ინფორმაცია.

ირაკლი უჯმაჯურიძემ ისაუბრა კომუნიკაციის მიმართულებით, კერძოდ, კომიტეტს აცნობა, რომ დევნილთა სამინისტროს პარტნიორებთან, მათ შორის საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავებულ იქნა კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცდა 2016 წლის 31 მარტის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ბრძანებით. გაეროს ქალთა ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით, დამატებით შეტანილ იქნა ცვლილება კომუნიკაციის სტრატეგიაში. სამოქმედო გეგმა მოიცავს 2016 წელს კომუნიკაციის მიმართულებით განსახორციელებულ აქტივობებს და ამჟამად მიმდინარეობს კომუნიკაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.

2016 წლის I კვარტალში სააგენტომ შეიმუშავა პირველი საინფორმაციო კამპანიის დოკუმენტი, რომლის მიზანი იყო დევნილთა ჩასახლებებში ინფორმაციის გავრცელება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ და მათი ინტერესის გაღვივება. ამ მიზნის მისაღწევად, სააგენტომ მთელი საქართველოს მასშტაბით განახორციელა 20 სავლელ შეხვედრა დევნილებთან და ადგილობრივ თემებთან. პარალელურად, სააგენტოში მუშაობა დაიწყო კიდევ სამი საინფორმაციო კამპანიის პროექტზე. 2016 წლის განმავლობაში, სააგენტო ჯამში განახორციელებს ოთხ საინფორმაციო კამპანიას. მეორე საინფორმაციო კამპანია ითვალისწინებს მოხალისეთა ინსტიტუტის

გამოყენებას და დევნილთა პირისპირ ინფორმირებას. სააგენტოს დირექტორმა დაწვრილებით ისაუბრა მოხალისეების მეშვეობით კარ და კარის პრინციპით საინფორმაციო კამპანიის განხორციელების, მოხალისეების შერჩევისა და მათი დატრენინგების შესახებ.

სააგენტოს დირექტორის განცხადებით, სააგენტომ დასაბეჭდად მოამზადა ბროშურის ტექსტი და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გამოცხადდა ტენდერი. გამარჯვებულ ორგანიზაციასთან გაფორმდება ხელშეკრულება ბეჭდვითი მომსახურების შესახებ. გარდა ამისა, დაგეგმილია დევნილებთან მასშტაბური შეხვედრების ჩატარება (ფორუმი), სადაც მათ მიეცემათ საშუალება ერთ სივრცეში გაეცნონ და ჩაერთონ მათთვის სასურველ საარსებო წყაროების სახელმწიფო პროგრამაში. ფორუმზე ასევე წარმოდგენილი იქნება აღნიშნული პროგრამების საუკეთესო გამოცდილება. დევნილებს უშუალოდ შეხვედებიან ადამიანები, რომლებმაც ისარგებლეს პროგრამებით და მიიღეს ამით საარსებო წყარო, ნაჩვენები იქნება პრეზენტაცია და ვიდეო კლიპი. ფორუმები ჩატარდება შემდეგ რეგიონებში: სამეგრელო-ზემო სვანეთი (2 ლონისძიება), იმერეთი (1 ლონისძიება), შიდა ქართლი (1 ლონისძიება), ქვემო ქართლი (1 ლონისძიება). კამპანიის ფარგლებში დამზადდება ვიდეო კლიპი, რომელშიც ზემოთ აღნიშნულ პროგრამებში მონაწილე დევნილები თვითონ ისაუბრებენ საკუთარ გამოცდილებაზე, თუ როგორ ჩაერთნენ და მიიღეს სარგებელი საარსებო წყაროების სახელმწიფო პროგრამებიდან. გარდა ამისა, ირაკლი უჯმაჯურიძემ კომიტეტს მიაწოდა ინფორმაცია სამომავლოდ განსახორციელებელი საინფორმაციო კამპანიის შესახებ. კერძოდ, ისაუბრა სამოქმედო გეგმაში ასახული საარსებო წყაროების სახელმწიფო პროგრამების შესახებ დევნილებისთვის სმს-ების გაგზავნის თაობაზე. მისი განცხადებით, მიმდინარე წლის ბოლომდე დაგეგმილია ჯამში 3 500 000 სმს-ის გაგზავნა. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში გამოყოფილი ბიუჯეტიდან დაფინანსდება: სმს კამპანია, სარეკლამო ბეჭდური მასალა, ვიდეო კლიპი, სავლე ვიზიტები, ფორუმების ორგანიზება.

კომიტეტის წევრები შეთანხმდნენ, რომ ზემოაღნიშნულ ფორუმებზე სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართული უწყებებიდან იქნება წარმოდგენილი წარმომადგენელი, რომელიც ვრცლად ისაუბრებს მისი უწყების პროექტებზე. ამ მიზნით, სააგენტომ უნდა გადაუგზავნოს მათ ფორუმების ჩატარების კალენდარი.

სააგენტოს დირექტორის განმარტებით, სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულ სახელმწიფო უწყებებთან. 2016 წლის I კვარტალში სააგენტომ ყველა პარტნიორი უწყებიდან შემდგომი გავრცელების მიზნით გამოითხოვა ბეჭდური მასალა. მან კომიტეტს დაწვრილებით გააცნო საინფორმაციო მასალების მიღებისა და გავრცელების შესახებ. კომიტეტს აცნობა, რომ დევნილებისთვის სავლე შეხვედრებზე და ტერიტორიულ ორგანოებში საერთო ჯამში გავრცელდა 58 280 ბეჭდური მასალა. ასევე 4300-მდე ბროშურა გაეგზავნა სამინისტროს შიდა ქართლისა და სამცხე ჯავახეთის ტერიტორიულ ორგანოს, 4000 აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიულ ორგანოს, ხოლო 2000

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიულ ორგანოს. გარდა ამისა, ივლისის თვეში BPRM პროგრამის ფარგლებში დამატებით დაიბეჭდა კიდეც 2000 ბროშურა სააგენტოს პროგრამების შესახებ. ბროშურების ძირითადი ნაწილი გავრცელდა ლტოლვილთა დანიის საბჭოს მიერ ორგანიზებულ ფორუმზე, რომელიც გაიმართა ქ. ქუთაისში. ასევე, განთავსდა სამინისტროს მისაღებ ცენტრში და ტერიტორიულ ორგანოებში.

ირაკლი უჯმაჯურიძემ ისაუბრა სამინისტროს ცხელი ხაზის მუშაობის შესახებ, მისი განმარტებით, ცხელ ხაზზე შემოსული ზარების რაოდენობა 2016 წლის იანვრიდან ივლისამდე შეადგენს 576 ზარს. სამინისტროში მოქმედი მანამდე არსებული პროგრამა ჩანაცვლდა პროგრამით „Queue Matrix“ და დაწვრილებით აღწერა აღნიშნული პროგრამის უპირატესობები და შესაძლებლობები. მათ შორის, მისი საშუალებით, შესაძლებელია რეპორტირების ეფექტურად, ხარისხიანად და შეუფერხებლად წარმოება, რაც საბოლოოდ სამინისტროს აღნიშნული დანაყოფების საქმიანობას აუმჯობესებს და სამინისტროს ბენეფიციართა მიმართ მომსახურების ხარისხს ზრდის. სისტემური განახლების პარალელურად, განისაზღვრა ცხელი ხაზის ორი ოპერატორი, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სააგენტოს და ზოგადად საარსებო წყარების სამოქმედო გეგმის ფარგლებში სახელმწიფო პროგრამების შესახებ დევნილებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე. ცხელი ხაზის, მისაღები ცენტრისა და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ. ცხელი ხაზის მუშაობა შეუფერხებლად მიმდინარეობს II კვარტლის განმავლობაშიც.

სააგენტოს დირექტორმა კომიტეტის სხდომაზე ისაუბრა საკანონმდებლო ბაზისა და მისი გადახედვის საჭიროებაზე. მისი განცხადებით, მიმდინარეობს მიწის შესახებ კანონმდებლობის გადახედვა და რეკომენდაციების შემუშავება. ამავე დროს, საგადასახადო რეგულაციებთან, ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდასთან, სავაუჭერო სისტემასთან დაკავშირებით, საჭიროა საკანონმდებლო ბაზის გადახედვაზე აქტიური მუშაობა. სააგენტოს დირექტორმა კომიტეტს გააცნო სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველოს მიერ სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილი სტატისტიკური მონაცემების, ასევე უახლესი კვლევებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე შემუშავებული კვლევა მიწაზე დევნილ პირთა ხელმისაწვდომობის შესახებ. აღნიშნა, რომ მითითებული კვლევა გადაგზავნილია ელექტრონულად კომიტეტის ყველა წევრისთვის და ამავე დროს, ბეჭდური სახით, გადაცემულია მათთვის და შეუძლიათ დაწვრილებით გაეცნონ.

ირაკლის უჯმაჯურიძის განცხადებით, 2016 წლის პირველი ორი კვარტლის განმავლობაში ჯამში განხორციელდა 121 ობიექტის თანადაფინანსება (8781 ბინა). 1308 ოჯახზე გამოიცა მთავრობის განკარგულება და 736 ოჯახთან მოხდა ხელშეკრულების გაფორმება. 2015 წელს 5575 ოჯახზე მოხდა სერტიფიკატის გაცემა და 2016 წლის პირველი 6 თვის შედეგი შეადგენს 2015 წლის 12%-ს (სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია 7%-იანი ზრდა). დევნლათთვის საარსებო წყაროების აქტივობების დასაწყებად ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის

გაზრდის მიზნით მუშაობის პროცესში ჩართულია დევნილთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორი, რომელთანაც მოხდა აღნიშნული საკითხების განხილვა სხვადასხვა სამუშაო შეხვედრების ფარგლებში. ასევე, მსჯელობა გაიმართა სოციალურ საკითხებზე მომუშავე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების რეგიონალურ თანამშრომლებთან მრავალმხრივი შეხვედრების დროს.

ირაკლი უჯმაჯურიძემ ისაუბრა დასაქმების სერვისებისა და სახელმწიფო პროგრამებით სოფლად თვითდასაქმების შესახებ. მისი განმარტებით, სააგენტო II კვარტალშიც აგრძელებს დევნილების დასაქმების, გადამზადებისა და ტრენინგების უზრუნველყოფას. 2016 წლის II კვარტალში სააგენტოს თანამშრომლების მიერ დარეგისტრირდა 62 დევნილი, რომელთაგან 33 ქალია. სააგენტო ჩართულია დასაქმების მაძიებელ დევნილთა ჯგუფურ კონსულტაციებში მონაწილეობის ხელშეწყობაში. სააგენტოს დირექტორმა ვრცლად ისაუბრა ჯგუფური კონსულტაციების მოწყობის შესახებ.

გარდა ამისა, სააგენტოს დირექტორმა ისაუბრა „სოფლად სახლის“ პროგრამის შესახებ, რომელსაც ბოლო სამი წელია სამინისტრო ახორციელებს და რომლის მიხედვითაც, დევნილებს საშუალება აქვთ აირჩიონ მათთვის სასურველი სახლი სოფლად მიწის ნაკვეთთან ერთად, რომლის შესყიდვამაც ეხმარება მათ სახელმწიფო ზღვრული თანხის ფარგლებში. სამოქმედო გეგმის მიხედვით 2016 წელს უნდა მომხდარიყო მინიმუმ 200 ასეთი სახლის შესყიდვა. პირველი ექვსი თვის მონაცემებით წლიური გეგმა უკვე გადაჭარბებით იქნა შესრულებული და სულ შესყიდულ იქნა 281 სახლი.

ირაკლი უჯმაჯურიძემ ისაუბრა პროფესიული განათლების პროგრამების შესახებ. მისი განმარტებით, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, პროფესიული განათლების დაწესებულებებში დევნილთა ჩარიცხვის ხელშეწყობის მიზნით, 2016 წლის I კვარტალში 20 საველე ვიზიტი განხორციელდა. ვიზიტების დროს გავრცელებული ინფორმაციის შედეგად, სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგაზაფხულო მიღებაზე ჩარიცხულ იქნა 243 დევნილი. ამათგან 56 (23%) ქალია. ამ ეტაპზე სახეზეა 2016 წლისათვის დადგენილი შედეგის 28%-ით შესრულება.

სააგენტოს დირექტორმა დაწვრილებით ისაუბრა „სოციალურად დაუცველ დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ შესახებ, რომელსაც სააგენტო ახორციელებს. პროგრამით გათვალისწინებულია 2016 წელს სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სოციალურად დაუცველ დევნილთა მხარდაჭერა, კერძოდ, ტრანსპორტირების ან საცხოვრებელი ფართის ქირის ხარჯების ანაზღაურება. პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა და მოკლე აღწერა ელექტრონულ ფოსტაზე გაეგზავნა ყველა იმ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც საგაზაფხულო მიღების შედეგად ჩაირიცხნენ სოციალურად დაუცველი დევნილები. ასევე, პროფესიულ სასწავლებლებს გაეგზავნათ განაცხადის ფორმა, რომელიც უნდა შეავსოს პროგრამაში ჩართვის მსურველმა იძულებით გადაადგილებულმა პირმა. ამ ეტაპზე

მიღებულია 34 განაცხადი. განმცხადებელთაგან 8 კაცია, ხოლო 26 (76,4%) ქალი. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, გაფორმდა მემორანდუმი ყველა სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სადაც 2016 წლის საგაზაფხულო მიღებაზე ჩარიცხნენ იძულებით გადაადგილებული პირები.

სააგენტოს დირექტორის განცხადებით, სააგენტო ახორციელებს საინფორმაციო შეხვედრებს დევნილებთან და უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას პროგრამებისა და აპლიკაციის პროცედურების შესახებ. მისი განმარტებით, ბოლო პერიოდში სააგენტოს თანამშრომლებმა 20-მდე შეხვედრა გამართეს დევნილებთან, სადაც სხვა პროგრამებთან ერთად გააცნეს, პროფესიულ კოლეჯებში ჩარიცხვის პროცედურები და ვადები. დაწვრილებით ისაუბრა დევნილებთან სააგენტოს წარმომადგენლების შეხვედრების შესახებ, სადაც გააცნეს ზემოაღნიშნული პროგრამა, მათ შორის ისაუბრა პროფესიულ კოლეჯ „იკაროსის“ წარმომადგენლებთან წეროვნის ჩასახლებაში მცხოვრებ დევნილებთან და თეთრიწყაროს რაიონის სოფ.კოდის N1 საჯარო სკოლაში პროფესიული სასწავლებელი „მოდუსის“ ადმინისტრაციასთან ერთად გამართულ შეხვედრების შესახებ.

აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა მომხსენებლს კითხვა დაუსვა, თუ რამდენი განაცხადი დაკმაყოფილდა შემოსული განაცხადებიდან და რამდენ მათგანს ეთქვა უარი. აღნიშნულზე, ირაკლი უჯმაჯურიძემ უპასუხა, რომ შემოსული 34 განაცხადიდან დაკმაყოფილდა 22 მათგანი, ხოლო დანარჩენს უარი ეთქვა სხვადასხვა მიზეზით.

სააგენტოს დირექტორის განმარტებით, არსებობდა პრობლემა, კერძოდ, სოციალურად დაუცველი დევნილები უარს აცხადებდნენ მხარდაჭერის მიღებაზე, შიშით, რომ შესაძლოა მხარდაჭერით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში, შესაძლოა მათ მოხსნოდათ სოციალური შემწეობა. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, შემუშავებული იქნა რეკომენდაცია, რომ გარკვეული ფიქსირებული თანხის მიღების შემთხვევაში, სოციალური შემწეობა არ მოხსნოდათ სოციალურ დაუცველ პირებს. აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა და შედეგად, შეტანილ იქნა ცვლილება „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N225/ნ ბრძანებაში, რომლის მიხედვითაც, შემოსავლების გაზრდა 150 ლარის ოდენობით არ იწვევს საარსებო შემწეობის გაცემის შეჩერებას. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს დაკვირვება, თუ რამდენად ეფექტური იქნება მითითებული გამონაკლისის დაშვება.

ირაკლი უჯმაჯურიძემ ისაუბრა სოფლის მეურნეობის სექტორში დევნილთა ჩართულობის შესახებ. ისაუბრა "აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ დევნილთა დამატებითი სუბსიდირების პროგრამის" შესახებ, რომელსაც სააგენტო ახორციელებს და რომლის მიხედვითაც, დევნილს, რომელიც ფლობს 5ჰა რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, „აგროდაზღვევის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში

სააგენტო უფინანსებს დამატებით 10%-ს (მაქსიმუმ 200 ლარის ოდენობით). საერთო ჯამში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მფლობელ დევნილს უნაზღაურდება სადაზღვევო პაკეტის წლიური ღირებულების 90%. დევნილ ბენეფიციართა იდენტიფიცირების მიზნით, გაფორმდა მემორანდუმი ა(ა)იპ „სასოფლო-სამეურნეო პროექტების მართვის სააგენტოსთან“. აღნიშნული პროგრამის შემუშავების პროცესში, სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროექტების მართვის სააგენტოსთან, ისე პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სადაზღვევო კომპანიებთან, რა მიზნითაც დაგეგმა და განახორციელა რამდენიმე შეხვედრა პარტნიორ ორგანიზაციებთან. სააგენტოს დირექტორმა კომიტეტს გააცნო სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, ივნისის თვის მონაცემებით პროგრამაში ჩართულია 126 დევნილი, რომელთაგან 74 (58,7%) ქალია, ხოლო 52 (41,3%) კაცი. საბაზისო მონაცემებზე დაყრდნობით, სახეზეა 206,5%-იანი ზრდა, რაც შეადგენს ინდიკატორის 29,5%-ით შესრულებას. აღნიშნული პროგრამის განხორციელების მიზნით, გამოთხოვნილ იქნა მონაცემები, დევნილების საკუთრებაში აღრიცხული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შესახებ. სააგენტოს დირექტორის განმარტებით, სააგენტოს აქვს მონაცემები დევნილების საკუთრებაში აღრიცხული მიწების ოდენობისა და ფართობის შესახებ. მითითებული ინფორმაციის გამოყენება ხდება "აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ დევნილთა დამატებითი სუბსიდირების პროგრამის" განხორციელებაში.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის შალვა კერესელიძის განცხადებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს მონაცემთა ბაზა დევნილთა მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შესახებ, იქიდან გამომდინარე, რომ ბევრ მათგანს საჯარო რეესტრის მონაცემებით საკუთრებაში არ აქვს აღრიცხული მიწის ნაკვეთი, თუმცა ფლობს მას, აღნიშნული ბაზის მონაცემების ქონამ შესაძლებელია სააგენტოს მუშაობას ხელი შეუწყოს და სააგენტოს დირექტორს შესთავაზა მითითებული ბაზის გადაცემა, რასაც ირაკლი უჯმაჯურიძე დაეთანხმა და შეთანხმდნენ, რომ სამართლებრივი პროცედურების შესაბამისად, განხორციელდება მონაცემთა ბაზის გადაცემა სააგენტოსთვის. შემდეგ განხორციელდება ბაზების დადარება და სააგენტოს ექნება დევნილთა საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შესახებ სრული მონაცემები.

ირაკლი უჯმაჯურიძემ ისაუბრა საგრანტო პროგრამის შესახებ, რომელიც სააგენტომ შეიმუშავა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის; თუმცა იმ მიზეზით, რომ პროგრამის შემუშავების დროს, სააგენტოს მოქმედი კანონმდებლობით არ ჰქონდა გრანტის გაცემის უფლებამოსილება, სამინისტროს სახელით მოხდა საგრანტო კონკურსის გამოცხადება და I-ვე კვარტალში გამოვლინდნენ გამარჯვებულები. საგრანტო კონკურსის გამოცხადებამდე, სააგენტომ ორგანიზება გაუკეთა პროგრამის სამიზნე რეგიონებში მოქმედ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრებს და გააცნო მათ პროგრამის

ძირითადი ასპექტები. საგრანტო კონკურსის გამოცხადების შემდეგ, სააგენტომ ღია კარის დღეზე უმასპინძლა ყველა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციას. აღნიშნულ შეხვედრას დაესწრო დაახლოებით 30 დაინტერესებული ორგანიზაცია. კანონმდებლობის მიხედვით დადგენილი პროცედურების გავლის შემდეგ, მიმდინარე წლის 31 მაისს მოეწერა ხელი ხელშეკრულებებს გამარჯვებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებმაც პროექტების განხორციელება დაიწყეს 1 ივნისიდან. ივნისის თვეში განხორციელეს პროექტების საინფორმაციო კამპანია სამიზნე რეგიონებში. ორგანიზაციები პროგრესის შესახებ ანგარიშს წარმოადგენენ ყოველთვიურად.

სააგენტოს დირექტორმა ისაუბრა სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან“ ერთად დევნილთა ჩასახლებებში განხორციელებული სავალე ვიზიტების შესახებ, რომლის დროსაც, დევნილები გაეცნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების არსს და მიმდინარე შესაძლებლობებს. ამასთანავე, ვიზიტების ფარგლებში გავრცელდა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის შესახებ მომზადებული 1000 ცალი „ფლაერი“, როგორც დევნილთა დასახლებებში და ადგილობრივ მუნიციპალიტეტების საინფორმაციო დაფებზე, ისე სამინისტრო ტერიტორიული ერთეულების ოფისებში. სააგენტოს დირექტორმა კომიტეტს გააცნო სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, ამ ეტაპზე დევნილთა მიერ ან დევნილთა ჩართულობით შექმნილია 39 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელშიც საერთო ჯამში გაწევრიანებულია 66 იძულებით გადაადგილებული პირი. მათ შორის 20 ქალი (30.3 %) და 46 კაცია.

ირაკლი უჯმაჯურიძემ ისაუბრა სააგენტოს მიერ „მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“ შესახებ განხორციელებული საინფორმაციო კამპანიისა და I კვარტალში განხორციელებული 20 სავალე ვიზიტის შესახებ. სააგენტოს დირექტორმა კომიტეტს გააცნო სტატისტიკა მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული განაცხადების შესახებ.

ირაკლი უჯმაჯურიძემ დაასრულა სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშის მოხსენება და დაიწყო საუბარი სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში წამოჭრილი პრობლემების/გამოწვევების შესახებ.

- 1) მისი განმარტებით, პრობლემურ საკითხს წარმოადგენს გარემოება, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო რიგ შემთხვევებში, სრულყოფილად ვერ ახდენს კოოპერატივის მეპაიე დევნილის ინდეტიფიცირებას, რადგან კოოპერატივის დარეგისტრირების დროს, არ ხდება კოოპერატივის წევრი დევნილების ინდეტიფიცირება. ამ ეტაპზე, დევნილეთა შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხდება შემდეგნაირად: კოოპერატივების ხელმძღვანელი პირები აწვდიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ინფორმაციას მეპაიე დევნილთა რაოდენობის შესახებ, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია არ არის

სრულყოფილი, არ აჩვენებს დევნილთა სრულ ოდენობას, რადგანაც, კოოპერატივის წევრების შემადგენლობა მუდმივად იცვლება. ამ მიზეზის გამო, შესაძლებელია, რომ მიღწეული რაოდენობრივი შედეგი არ იყოს ზუსტი.

- 2) პრობლემურ საკითხს წარმოადგენს მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამაში დევნილთა ნაკლები ჩართულობა. სააგენტოს დირექტორის განცხადებით, ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით მასში ჩართულია მხოლოდ ერთი დევნილი და სამოქმედო გეგმის მიხედვით ჯამში 68 დევნილის ჩართვა უნდა მომხდარიყო.

კომიტეტის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულის შესახებ, გამოითქვა მოსაზრება, რომ დევნილთა ნაკლები ჩართულობის მაჩვენებელი განპირობებული შესაძლოა იყოს იმ ფაქტით, რომ სრულყოფილად არ ხდება დევნილთა ჩართულობის აღრიცხვა, კერძოდ, შესაძლოა ამხანაგობების, რომელთა განაცხადებიც კმაყოფილდება და ფინანსდება, წევრები წარმოადგენენ დევნილ პირებს, თუმცა არ ხდება მათი იდენტიფიცირება და აღრიცხვა, შედეგად სახეზე არ არის რეალური სტატისტიკა.

წარმოდგენილი სტატისტიკის თაობაზე, სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ოთარ ანთიამ გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა სტატისტიკა ზუსტი არ იყოს, რადგან მათი ბაზა მუდმივად განახლებადია. ამავე დროს განაცხადა, რომ 2016 წელს სულ დაკმაყოფილებულია დაახლოებით 1400 განაცხადი და შეუძლებელია ამ რაოდენობაში, მხოლოდ ერთი დევნილი იყოს. ოთარ ანთიამ განაცხადა, რომ სრულ მონაცემებს გაუგზავნის სააგენტოს და უმჯობესია მონაცემთა მიღების შემდეგ სააგენტომ განახორციელოს მონაცემების ხელახლა დადარება.

- 3) პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, რომ ვერ ხერხდება საარსებო წყაროების პროგრამების ბაზის შევსება, რადგანაც არ არსებობს ბერკეტი, რომლითაც მოხდება არასამთავრობო ორგანიზაციების დავალდებულება, რომ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიეწოდოს ინფორმაცია იმ პროექტების შესახებ, რომლებსაც ახორციელებენ საარსებო წყაროების მიმართულებით.

ასევე სირთულეს წარმოადგენს ბენეფიციართა შესახებ ინფორმაციის მოძიებაც, არასამთავრობო ორგანიზაციები რიგ შემთხვევაში უარს ამბობენ ბენეფიციართა შესახებ მონაცემების მოწოდებაზე პერსონალური მონაცემების კანონმდებლობის თანახმად.

- 4) პრობლემურ საკითხს, წარმოადგენს ქალებისთვის არატრადიციული პროფესიების იდენტიფიცირების საკითხი.
- 5) ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს გარემოება, რომ დევნილთა შესახებ სხვადასხვა კანონმდებლობის გადახედვასთან დაკავშირებით განსახორციელებელია აქტივობები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა უწყებების კომპეტენციაში შემავალ

საკითხებთან (მიწაზე წვდომა, საგადასახადო რეგულაციები, ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, სავაუჩერო სისტემა და ა.შ.).

- 6) პირველი ორი კვარტლის შედეგებმა აჩვენა, რომ რათა მიღწეულ იქნეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შედეგები, მიზანშეწონილია დევნილთა დამატებით ინფორმირება სხვადასხვა უწყებების პროგრამების შესახებ.
- 7) ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს, გარემოება, რომ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ბაზიდან ვერ ხერხდება იდენტიფიცირება იმ დევნილთა რაოდენობის, ვინც დარეგისტრირდა სამუშაოს მაძიებელთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში 2016 წლის პირველ და მეორე კვარტალში. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ჯამურად. ასევე საჭიროა მონაცემები ამ პერიოდებში დარეგისტრირებულ ქალთა და მამაკაცთა რაოდენობის შესახებ. აღნიშნული მონაცემების მიღება აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან სამოქმედო გეგმის მიხედვით, დარეგისტრირებულთა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში რეგისტრირებულ დევნილთა წილი 2015 წლის მონაცემებთან შედარებით უნდა გაიზარდოს 10 %-ით. რეგისტრირებულთა მინიმუმ 40-% კი, უნდა იყოს ქალი. გარდა ამისა, ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს გარემოება, რომ ვერ ხერხდება იდენტიფიცირება იმ დევნილთა რაოდენობის, რომლებმაც სამუშაოს მაძიებელთა ერთიანი ელექტრონული ბაზის პლატფორმის გამოყენებით შეძლეს დასაქმება, თუმცა დამსაქმებლებმა არ მიაწოდეს აღნიშნული ინფორმაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს, რაც ხშირიად ხდება.
- 8) ევროკავშირთან შეთანხმების პირობების (Policy Matrix) თანახმად, საჭიროა სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი ორი სააგენტოს (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო) მიმდინარე პროექტების ანგარიშები, სადაც ჩაშლილი იქნება მონაცემები დევნილთა შესახებ სქესის მიხედვით. ამ ეტაპზე, დევნილთა შესახებ მონაცემებს სქესის მიხედვით არ მოიცავს ანგარიშები. აღნიშნული ანგარიშები დაეხმარება სააგენტოს დევნილებზე მორგებული პროგრამების შემუშავებაში და სხვა მსგავს საკითხებში.

სააგენტოს დირექტორმა კომიტეტს აცნობა სამეთვალყურეო საბჭოზე განხილული რეკომენდაციები, ასევე დევნილთა ჩასახლებებში გამართულ შეხვედრებზე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან, არასამთავრობო სექტორთან, სამოქმედო გეგმის ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციებთან გამართულ შეხვედრებზე განხილული/შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ:

- 1) პრობლემური საკითხი, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო რიგ შემთხვევებში ვერ აიდენტიფიცირებს კოოპერატივის მეპაიე დევნილს და ამ მიზეზის გამო, შესაძლებელია, რომ მიღწეული რაოდენობრივი შედეგი არ იყოს ზუსტი, ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად

მიზანშეწონილია სააგენტოსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შორის განხილულ იქნეს შესაძლებლობა, თუ რა მეთოდით შეიძლება მოპოვებული იქნეს მეპაიე დევნილების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია. მეთოდის შემუშავების შემდეგ კი განხორციელდეს მონაცემთა ბაზების დადარება.

- 2) რაც შეეხება მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამაში ჩართული დევნილების ზუსტი მონაცემების არ ქონას, გათვალისწინებული იქნა ოთარ ანთიას მოსაზრება, რომ მოხდეს სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“ მხრიდან სრულყოფილი მონაცემების გადმოგზავნა სააგენტოსთვის და შემდეგ დევნილთა ბაზაზე დადარება, სრულყოფილი მონაცემების ქონის მიზნით.

იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა დადარების შედეგად სახეზე იქნება 68 დევნილზე ნაკლები, მიზანშეწონილი იქნება სააგენტოსა და სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“ ერთობლივი მუშაობის შედეგად, შემუშავებული იქნეს მეთოდი, რომ განხორციელდეს ამხანაგობის წევრი დევნილების ინდეტიფიცირება. ამავე დროს, თუ გამოიკვეთა დევნილთა ნაკლები ჩართულობა, საჭიროა მოხდეს პრობლემის მიზეზის მოკვლევა და აღნიშნულის თაობაზე მუშაობის დაწყება.

- 3) პერსონალური მონაცემების მიწოდებაზე უარის თქმის მიზეზით, ბენეფიციართა შესახებ ინფორმაციის მოძიების სირთულესთან დაკავშირებით, წარდგენილ იქნა რეკომენდაცია, რომ საჭიროა მოხდეს შეთანხმება დონორ ორგანიზაციებთან, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებთან ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე დაარეგულირებენ ამ საკითხს.
- 4) არატრადიციული პროფესიების ზუსტი ინდეტიფიცირების მიზნით, მიზანშეწონილი იქნება, თუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად შეიქმნება ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნული პროფესიების ჩამონათვალს, ასევე აღნიშნულის თაობაზე მოხდეს კონსულტაციების მიღების მიზნით გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან კონტაქტი.

ქეთევან ნატრიაშვილის განმარტებით, არატრადიციული პროფესიების ზუსტი განსაზღვრისთვის კარგი იქნება თუ მოხდება ზოგადი სტატისტიკის შედარება სქესის მიხედვით, ანუ რომელ პროფესიებშია მეტი მამაკაცი და რომელ პროფესიებშია ნაკლები ქალი, სადაც ნაკლები ქალი დაფიქსირდება ის მიიჩნევა ქალებისთვის არატრადიციულ პროფესიებად. აღნიშნულის თაობაზე, დავით ფეიქრიშვილმა განაცხდა, რომ მიზანშეწონილია სხვა ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებაც.

გამოითქვა შეხედულებები, რომ საჭიროა მეტი პოპულარიზაცია არატრადიციული პროფესიების, ამავე დროს კარგი იქნება ქალების ჩართულობის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა უწყებების მხრიდან თუ მოხდება გარკვეული შეღავათების დაწესება.

5) სააგენტოს დირექტორის განცხადებით, მნიშვნელოვანია მოხდეს არსებული კანონებისა და რეგულაციების გადახედვა დევნილთათვის მიწაზე წვდომასთან, საგადასახადო რეგულაციებთან, ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდასთან დაკავშირებით. მიზანშეწონილია შეიქმნას სამუშაო ჯგუფები, რომლებიც კომპეტენციის მიხედვით იმუშავებენ საკანონმდებლო გადახედვის საჭიროებებზე და შეაჯამებენ უკვე განხორციელებულ საქმიანობას. ფინანსურ სერვისებზე წვდომის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია მოხდეს მოწყვლადი დევნილების მიერ დარეგისტრირებული ბიზნესებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება გარკვეული პერიოდის განმავლობაში (მაგალითად, 6 თვე ან ერთი წელი).

რაც შეეხება დევნილების მიწაზე წვდომის საკითხს, სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრაზე წარდგენილი რეკომენდაციის მიხედვით, რადგან დევნილებს უფრო მეტად აქვთ ფაქტიურ მფლობელობაში მიწა, ვიდრე ოფიციალურად დარეგისტრირებული, მიზანშეწონილი იქნება მათთვის მიწის ოფიციალურად დაკანონების ხელშეწყობა იმ მიზნით, რომ მათ სრულყოფილად ისარგებლონ სოფლის მეურნეობის დარგში მიმდინარე პროექტებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის ინიციატივით გარკვეული ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონმდებლობაში. შედეგად, როგორც საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, ასევე დევნილთათვის გამარტივდა მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურები. მიზანშეწონილია გაგრძელდეს ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა.

6) სხვა უწყებების პროგრამების შესახებ, დევნილთა ნაკლები ინფორმირებულობის კუთხით, გამოითქვა რეკომენდაცია, რომ სააგენტოს ორგანიზებულ ფორუმებზე სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულ უწყებებმა გამოყონ წარმომადგენელი, რომელიც დაესწრება ფორუმებს და ვრცლად ისაუბრებს მისი უწყების პროექტებზე.

7) რაც შეეხება, სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაში დარეგისტრირებული დევნილების იდენტიფიცირების საკითხს, წარდგენილი იქნა რეკომენდაცია, რომ მოხდეს დევნილთა შესახებ სტატისტიკური მონაცემების მიწოდება სააგენტოსთვის ყოველ კვარტალში არსებული მემორანდუმის ფარგლებში. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, რომ მონაცემების მიღება მოხდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს ქალებისა და მამაკაცების იდენტიფიცირება.

8) პროგრამებში რეგისტრირებული დევნილების მონიტორინგის მიზნით, საჭიროა სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი ორი სააგენტოს (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო) მიმდინარე პროექტების ანგარიშები, სადაც ჩაშლილი იქნება მონაცემები დევნილთა შესახებ. მიზანშეწონილი იქნება უკვე

არსებულ ანგარიშებს დაემატოს დევნილთა სტატისტიკა ჩამოთვლილი სქესის მიხედვით და მიეწოდოს სააგენტოს.

კომიტეტის წევრებმა მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, განიხილეს სამოქმედო გეგმის განხორციელების ღონისძიებები, განიხილეს წარდგენილი რეკომენდაციები და მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. სააგენტოსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შორის განხილულ იქნეს შესაძლებლობა, თუ რა მეთოდით შეიძლება მოპოვებული იქნეს მეპაიე დევნილების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია. მეთოდის შემუშავებისა და მონაცემთა მიღების შემდეგ განხორციელდეს მონამცემთა ბაზების დადარება.
2. სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტომ“ გადაუგზავნოს სრულყოფილი მონამცემთა ბაზა სააგენტოს. მოწოდებული მონაცემების გადმოგზავნის შემდეგ, განხორციელდეს მათი დადარება დევნილთა მონაცემთა ბაზაზე.
3. სააგენტომ უზრუნველყოს დონორ ორგანიზაციებთან საკითხის დაყენება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე დონორ ორგანიზაციებმა დაარეგულირონ მონაცემების მოწოდების საკითხი. ასევე, სააგენტომ უზრუნველყოს დევნილთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან საკითხის დაყენება, რომ დევნილთა შესახებ ინფორმაციის გადმოგზავნა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაარეგულირონ ბენეფიციარებთან ურთიერთობის საწყის ეტაპზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4. 2016 წლის არაუგვიანეს ოქტომბრის თვისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ქალებისთვის არატრადიციული პროფესიების პოპულარიზაციის მიმართულებით და მიმდინარე წლის ბოლომდე მოახდენს არატრადიციული პროფესიების განსაზღვრას. ამავე დროს, აღნიშნულ საკითხზე კონსულტაციები გაიაროს გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან.
5. დევნილი პირებისთვის კანონმდებლობის გადახედვის, მსჯელობისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სამინისტროებსა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულ სხვა უწყებებს შორის სამუშაო დონეზე მოხდეს მჭიდრო თანამშრომლობა. საჭიროებისამებრ განხორციელდეს სამუშაო შეხვედრები ან/და სამუშაო ჯგუფების შექმნა.
6. სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულ უწყებებმა უზრუნველყონ სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ორგანიზებულ ფორუმებზე საკუთარი პროგრამების სათანადო წარმოჩენა. სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ

უზრუნველყოს ფორუმების ჩატარების კალენდრის მიწოდება შესაბამის უწყებებისთვის.

7. სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტომ“ მონაცემები სააგენტოს მიწოდოს ყოველ კვარტალში, ისე, რომ შესაძლებელი იყოს ქალისა და მამაკაცის იდენტიფიცირება.
8. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ სააგენტოებმა: სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ“ და ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ“ შესაძლებლობის ფარგლებში, მიმდინარე პროექტების ანგარიშებში ჩამალონ დევნილთა შესახებ მონაცემები სქესის მიხედვით და მიაწოდონ სააგენტოს.
9. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სააგენტოს განცხადების საფუძველზე, გადაუგზავნოს დევნილთა მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების თაობაზე არსებული მონაცემთა ბაზა სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, რომელმაც 2016 წლის ბოლომდე, უნდა უზრუნველყოს მის ხელთ არსებული ბაზისა და მოწოდებული მონაცემთა ბაზის დადარება და დევნილთა საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების შესახებ ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა.

კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომიტეტის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი



გრიგოლ გიორგაძე

მდივანი



ანა კიკნაძე